# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №1/230-2013

„01" ოქტომბერი 2013 წ.

ქ. თბილისი

ერთი მხრივ,
**შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"** (მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონში აეროპორტი (აეროპორტის დასახლება); ს.კ 404389693, წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის პაატა ჩიქოვანის სახით (შემდგომში "შემსყიდველი")
და მეორე მხრივ,
**სს „ჩემი ოჯახის კლინიკა"**, - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის #123; საიდენტიფიკაციო კოდი: 204488063) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, გიორგი მინდიაშვილის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"),
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-$10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**
1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის საჭიროებისათვის სამედიცინო მომსახურების შესყიდვა (CPV-85100000).

**მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი**
2.1. ხელშეკრულების სავარაუდო მთლიანი ღირებულება შეადგენს 2250 (ორი ათას ორასორმოცდაათი) ლარს, საიდანაც ყოველთვიურად ანაზღაურდება წინამდებარე ხელშეკრულების 6.1.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შემთხვევათა ჯამური ღირებულება.
2.2. ხელშეკრულების 6.1.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ერთი ერთეული შემთხვევის ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.
2.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდაც ეკისრება „მიმწოდებელს".

**მუხლი 3. ხელშეკრულების განხორციელების ვადები და პირობები**
3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება 2013 წლის 01 ოქტომბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (ყოველდღე, 24 საათიან რეჟიმში).

**მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**
4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება „მიღება-ჩაბარების" აქტით, ფაქტობრივად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად.

**მუხლი 5. ანგარიშსწორების პირობები**
5.1.„მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველთვიურად, უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.
5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება–ჩაბარების" აქტი.
5.3.„მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
5.4. „მიღება–ჩაბარების" აქტის წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა.

**მუხლი 6. მხარეთა ვალდებულებები**
6.1. **„მიმწოდებელი" ვალდებულია:**
6.1.1. გაუწიოს „შემსყიდველს" ხარისხიანი მომსახურება, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულების 6.1.2. ქვეპუნქტით;

6.1.2. ხელშეკრულების 3.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული დროის განმავლობაში, აეროპორტის სამედიცინო პუნქტის მიერ განხორციელებული გამოძახების საფუძველზე, პაციენტს აღმოუჩინოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს მისი სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირება.
6.1.3. კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
6.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
6.1.5. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
6.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
6.2.1. უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების მიზნით უზრუნველყოს მიმწოდებლის სამედიცინო და დამხმარე პერსონალის აეროპორტის ტერიტორიაზე გადაადგილების პირობები (საშვი და სხვა).
6.2.3. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
6.2.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

**მუხლი 7. მხარეთა უფლებები**
7.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:
7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება.
7.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
7.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
7.2.2 არ მიიღოს უხარისხო შესრულება.

**მუხლი 8. ცვლილებები**
8.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ორივე მხარის ხელმოწერით ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**მუხლი 9. ფორს-მაჟორი**
9.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ასეთი დარღვევა გამოწვეულია ისეთი დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით(ფორსმაჟორული გარემოება), რომლის წინაწარ გათვალისწინება ანდა გონივრული მეთოდებით გადალახვა შეუძლებელია. ასეთი გარემოებებია (და არამხოლოდ) მიწისძვრა, ხანძარი, ქარიშხალი, დიდთოვლობა, წყალდიდობა, ეპიდემია, სამხედრო მოქმედებები, მესამე პირების გაფიცვები, სახელმწიფოს ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილების არარსებობა, კანონმდებლობაში შესული ცვლილებები და მისთანანი.
9.2. ფორსმაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსა თუ დაწესებულების მიერ ოფიციალურად.
9.3. მხარე ვალდებულია, პირველივე შესაძლებლობისთანავე შეატყობინოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უფლება ერთმევა, ვალდებულების შეუსრულებლობა გაამართლოს ფორსმაჟორზე მითითებით.
9.4. თუ ფორსმაჟორული გარემოება გრძელდება იმდენ ხანს, მაგრამ უწყვეტად არანაკლებ 30 კალენდარული დღისა, რომ მისი მიზეზით ვერშესრულებადი ვალდებულების შეუსრულებლობა მხარის მიერ, მეორე მხარისათვის ინტერესს უკარგავს ამ ხელშეკრულების კვლავ არსებობას, ამ მეორე მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება.

9.5. მხარეებს ასევე შეუძლიათ, ფორსმაჟორის დადგომის შემთხვევაში, ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის გარეშეც ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ, შეაჩერონ ან შეცვალონ ეს ხელშეკრულება.

**მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

**მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

11.1. ფორს–მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

11.2. საჯარიმო სანქციების გადახდა მხარეებს არ ათავისუფლებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**მუხლ 12. ხელშეკრულების შეწყვეტა**

12.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

12.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

12.1.2. მხარეთა შეთანხმებით;

12.1.3. შემსყიდველის მხრიდან წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

12.1.4 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 13. ინსპექტირების პირობები**

13.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ უფლებამოსილი პირი.

13.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

13.3. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

13.4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „შემსრულებელთან“ „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმება.

**მუხლი 14. მხარეთა პასუხისმგებლობა**

14.1. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, გამოწვეული ზიანი.

**მუხლი 15. გამოყენებული სამართალი**

15.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 16. დავა**

16.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 17. დასკვნითი დებულებები**

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 01 ოქტომბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად– თითო ეგზემპლარი მხარეთათვის.

**18. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები**

| | |
|---|---|
| „შემსყიდველი"<br>**შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"**<br>**მისამართი: სამგორის რაიონში აეროპორტის დასახლება (აეროპორტი)**<br>**ს.კ № 404 389 693**<br>**საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი",**<br>**ბანკის კოდი: 220 101 850**<br>**ა/ა: GE37TB7777736070100001 GEL**<br>---------- <br>**დირექტორის მოადგილე**<br>**პაატა ჩიქოვანი** | „მიმწოდებელი"<br>სს „ჩემი ოჯახის კლინიკა"<br>**მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის 123**<br><br>**ს.კ № 204488063**<br>**საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"**<br>**ბანკის კოდი : BAGAGE22**<br>**ანგარიშის № GE75BG0000000117846700**<br>----------<br>**გენერალური დირექტორი**<br>**გიორგი მინდიაშვილი** |